სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ანგარიში

ბათუმი 2011 წელი

2011 წლის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტებთან, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განახორციელდა სტუდენტთა სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტივობები.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესადმი მიძღვნილი ღონისძიება

2011 წლის 8 იანვარს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ინტელექტუალური თამაში გაიმართა, რომელშიც სტუდენტებთან ერთად აჭარის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოასპარეზე ოც გუნდს შორის პირველი ადგილი ურეხის საჯარო სკოლის გუნდმა "ბახტრიონმა" დაიკავა, მეორე კი - სკოლა ,,ევრო 2000“-ის გუნდმა ,,ედელვაისმა“. ღონისძიების ფარგლებში შედგა მანუჩარ ლორიას დოკუმენტური ფილმის ,,დავით აღმაშენებლის“ ჩვენება. ინტელექტუალური თამაში რსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის, სტუდენტური თვიმმართველობის, სტუდენტთა სამცნიერო ცენტრის, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ბათუმის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელშეწყობით გაიმართა. ორგანიზატორებმა გამარჯვებულ გუნდებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საბჭოთა ოკუპაციის 90 წლისადმი მიძღვნილი კვირეული

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ინიციატივით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს, ქ. ბათუმის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების, აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის და აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს მხარდაჭერით ბათუმში საქართველოს ოკუპაციის 90 წლისადმი მიძღვნილი კვირეული გაიმართა სახელწოდებით „წითელი ისტორია და აჭარა“. კვირეულის ფარგლებში შემდეგი ერთობლივი ღონისძიებები განხორციელდა:

- **17 თებერვალი** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა ოკუპაციის თემასთან დაკავშირებით ესსეების კონკურსი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საჯარო სკოლების მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები. ას კონკურსანტს შორის გამარჯვებულნი მწერალთა კავშირისა და სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. საუკეთესო ესსეს ავტორად მელანო ზოსიძე დასახელდა, მეორე ადგილი ქეთევან ჩავლეიშვილმა დაიკავა, ხოლო მესამე - მარიამ კაკალაძემ. გამარჯვებულებს ფულადი პრემიები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.
- **23 თებერვალი** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო

სამმართველოს და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით მოეწყო უშიშროების არქივში არსებული საბჭოთა ოკუპაციისა და ტერორის ამსახველი ფოტობანერების გამოფენა სახელწოდებით: „წითელი ისტორია და აჭარა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მიერ გამოცემული ჟურნალ „საარქივო მოამბის'' სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, დოკუმენტური ფილმის „დატყვევებული გონი(ერი)“-ს ჩვენება და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

- **24 თებერვალი** – შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით ქ. ბათუმის #3 საჯარო სკოლაში (ყოფილი რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო შტაბი) მოეწყო უშიშროების არქივში არსებული საბჭოთა ოკუპაციის და ტერორის ამსახველი ფოტობანერების გამოფენა (სახელწოდებით „წითელი ისტორია და აჭარა''), დოკუმენტური ფილმის ჩვენება „უშიშროების არქივი შსს“ - არქივის ისტორია (19 წუთი) და საჯარო ლექცია „საბჭოთა ოკუპაცია და მისი რეალობის ამსახველი დოკუმენტები“.

- **25 თებერვალი** - აჭარის ა.რ საარქივო სამმართველოში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

9 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით მოეწყო 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოქრონიკის ჩვენება და 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალის შემკობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

2011 წლის 26 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრისა და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოხსენებები წარმოადგინეს სტუდენტებმაც. კონფერენციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი

2011 წლის 11 მაისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის საფეხურის პირველი და მეორე კურსის სტუდენტებმა. კონკურსი ითვალისწინებდა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებას, სამეცნიერო კვლევა–ძიების პროცესში ჩართული პირველი და მეორე კურსის სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერასა და წახალისებას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 87 სტუდენტი დარეგისტრირდა, ხოლო მონაწილეობა მიიღო 56 სტუდენტმა. ზემოთ აღნიშნული მონაცემები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგი პროპორციით გადანაწილდა:

- განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 42 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 33 სტუდენტმა;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დარეგისტრირდა 41 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 21 სტუდენტმა;
- ტურიზმის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 2 სტუდენტმა;
- საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა;
- აგრტოექნოლოგიის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა;

კონკურსის მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ მონაწილეობის სერტიფიკატები, ხოლო კონკურისში გამარჯვებული რეფერატის ავტორს უფლება მიენიჭა საკუთარი ნაშრომი წარედგინა „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - 2011-ზე“.

სტუდენტთა თემატური კონფერენცია: „აჭარა, მდგრადი განვითარება, მომავალი...“

2011 წლის 6-7 ივნისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამენიერო ცენტრისა და აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზებით გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა თემატური კონფერენცია ,,აჭარა, მდგრადი გავითარება, მომავალი..." გაიმართა. კონფერენცია მიზანად ისახავდა მდგრადი განვითარების საკითხებში სტუდენტ-ახალგაზრდობის ცნობიერების დონის განსაზღვრას, ამაღლებასა და ამ მიმართულებით მათი საქმიანობის სტიმულირებას. ახალგაზრდა მეცნიერებმა მოხსენებები ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და ტურიზმის სექციებში წარმოადგინეს, რომლებიც კრებულის სახით დაიბეჭდა. სამეცნიერო სესიის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა მტირალას ეროვნული პარკი დაათვალიერეს.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - 2011

2011 წლის 6 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – 2011“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებმა. კონფერენციაში, კერძოდ, კი ფილოსოფიის სექციაზე, ასევე მონაწილეობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 132 სტუდენტი დარეგისტრირდა, ხოლო მონაწილეობა მიიღო 129 სტუდენტმა. ზემოთ აღნიშნული მონაცემები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგი პროპორციით გადანაწილდა:

- განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 100 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 100 სტუდენტმა;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დარეგისტრირდა 16 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო15 სტუდენტმა

- ტურიზმის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა;
- საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა;
- აგროტექნოლოგიის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო 16 სტუდენტმა;

კონკურსის ფარგლებში 17 სექცია მუშაობდა: სამართლის, ეკონომიკური მიმართულების, ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობათა, ისტორიის, ბიოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ჯანდაცვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ევროპეისტიკის, სლავისტიკის და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატი, ჟიურის მიერ საუკეთესოდ შეფასებული მოხსენებები კი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებულში დაიბეჭდება.

სტუდენტთა სამეცნიერო

ცენტრის ხელმძღვანელი ლ. ბაჟუნაიშვილი

21.09.2011